ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3631979

ნომერი: AR1542278

თარიღი : 05.10.2017

გაცემის თარიღი : 25.10.2017

გაცნობის თარიღი : 26.10.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ; ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , "დიდი დიღომი" ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ ბეჟანიშვილი პ/ნ 01003000231
- თბილისი მუხიანი IVბ მ/რ კორ. 30 ბ. 12

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 05 ოქტომბრის NAR1542278 განცხადება, რომელშიც ითხოვთ 2015 წლის 06 თებერვლის №1699416 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას, კერძოდ მომიჯნავე N01.72.14.035.080 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის დამატებას და ქ. თბილისის

მერის 2015 წლის 13 მარტის N1470 ბრძანებაში ცვლილებას გაცნობებთ, რომ საკითხი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 13 მარტის N1470 ბრძანებაში საკადასტრო მონაცემების (საკადასტრიო კოდი:N01.72.14.035.080, 01.72.14.035.079) დაფიქსირებაზე განხილული იყო „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ 2017 წლის 19 ოქტომბრის N42 სხდომაზე. საბჭოს რეკომენდაციით უარი ეთქვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 13 მარტის N1470 ბრძანებაში საკადასტრო მონაცემების (საკადასტრიო კოდი: N01.72.14.035.080, 01.72.14.035.079) დაფიქსირებაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი 2017 წლის 05 ოქტომბრის NAR1542278 განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.